პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 იანვარი ოთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 19 (10840)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხუთწლედის მოწინავენი

„ჰიათურმარგანეცის“ ტრესტის ცენტრალური საექსპლოატაციო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალება ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად, გამართულად მუშაობს. გეგმებს ყველა ცვლა და ბრიგადა ასრულებს. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 100-120 ტონა მარგანეცის კონცენტრატი ეგზავნება.

ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. გადახდეს თავიანთი რეზერვებს და ვალდებულება აიღეს განსახორციელო წლის გეგმა პირველი დეკემბრისათვის შეასრულონ.

ხუთათუნ: მოწინავე ცვლის წევრები მ. ბრეგვაძე, გ. შეყილაძე, ა. კაპანაძე, ო. ჯაჯანიძე და მ. მაჭავარიანი.

ა. მაჭაკარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# კონტროლიორები ანგარიშს აბარებენ

საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოებში, იხე როგორც ჩვენს ქვეყანაში, უკვე თვენახევარზე მეტია მიმდინარეობს ჯგუფებისა და საგუშაგოების მორიგი ანგარიშგება-არჩევნები. ამ მასობრივი საკონტროლო ორგანოების მუშაობაში ეს პასუხსაგები კამპანია ეწყობა იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში დიდი შრომითი და შემოქმედებითი აღმავლობა ვითარდება.

მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა შრომელი, ყველა კომუნისტი და კომკავშირელი ახალი შემართებით, ახალი ენერგიით მუშაობს ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისათვის, პარტიიხადმი, საბჭოთა ხალხისადმი აკმაყოფილებს ცენტრალური კომიტეტის მემართველობაში დასახულ საპროგრამო დავალებათა ხორცშესხმისათვის. ყოველივე ეს ნათლად დასტურდება იმ მრავალფეროვანი ღონისძიებებით, რომლებიც ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში. ახლა ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თანადარი საფეხურადი და ხაზრუნავი გაზდა იმ ამოცანების, იმ დავალებების განხორციელებისათვის ბრძოლა, რომლებიც ამ მიმართვიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში არის მოცემული.

თქმა არ უნდა, იმ დიდ ხალხო ლაშქრობაში, რომელიც გაჩაღებულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად წინა რიგებში დგანან სახალხო კონტროლიორები.

სწორედ რომ სახალხო კონტროლის ორგანოთა საფუძველია საფუძველი — ჯგუფები და საგუშაგოები მკაფიოდ ასახავენ ჩვენი კონტროლის სახალხო დემოკრატიულ ხასიათს. ამას ნათლად ადასტურებს ისიც, რომ ორი წლით არჩეული კონტროლიორები, თუ ვერ გაამართლებენ ხალხის ნდობას, თავიანთ მაღალ მოვალეობას, ჩვენი ადამიანები ახალი ვადით აღარ აირჩევენ მათ.

იქ, სადაც საბჭოთა დემოკრატიის ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ღრმად აქვთ შეგნებული, პასუხისმგებლობით, მაღალი პარტიული სინდისიერებით ეკიდებიან სახალხო კონტროლიორის მოვალეობას, მთელი მუშაობა შინაარსიანად არის წარმართული და საანგარიშო-საარჩევნო კრებებიც მაღალ დონეზე ეწყობა, ანგარიშებშიც ბევრი და კარგი აქვთ სათქმელი. ამ მხრივ გამოირჩევიან თბილისის, ქუთაისის ბათუმის, რუსთავის, გორის, წალენჯიხის, ზესტაფონის, ცხაკაიას, სიღნაღის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ჯგუფები და საგუშაგოები. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები ბევრ საწარმოში, მაგრამ არის ფაქტები, როცა ანგარიშგება-არჩევნები დაბალ დონეზე ეწყობა. მოხსენებებსა და სიტყვებს აკლია სიმწყვანე, ობიექტურობა, კრება ჯგუფის მუშაობის შეფასებისას იჩენს ლმობიერებას. ასე იყო, მაგალითად, წყთელწყაროს რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ანალოგიურ ფაქტებს ქონდა ადგილი ქარელის სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში, სამტრედიის რაიონის ნაბაკევის გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობაში, ქობულეთის რაიონის ჩაქვის მუშათა კოოპერატივში და სხვ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და სახალხო კონტროლის კომიტეტი სათანადო მზრუნველობას არ იჩენს ამ მნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებში ახლა 11.267 ჯგუფი და 20.872 საგუშაგოა, რომლებშიც 220.664 კონტროლიორია გაერთიანებული. აქედან 18.958-ზე მეტ ჯგუფსა და საგუშაგოში უკვე ჩატარდა ანგარიშგება-არჩევნები. ბევრგან შეიცვალა შემადგენლობა, აირჩიეს ახალი ხელმძღვანელი.

რუსთავში უკვე ახზე მეტ ჯგუფსა და სამსახადე საგუშაგოში მოეწყო ანგარიშგება-არჩევნები. არნეულ კონტროლიორთა 80 პროცენტზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელია, კონტროლიორთა შორის არიან მოწინავე, ავტორიტეტიანი მუშები, ფოსამსახურეები, აგრეთვე პენსიონერები.

სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებამდე ერთი თვე და რამდენიმე დღე დარჩა. და სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს პარტიული ორგანოების, სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დამრაზმველი, წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი. ეს პერიოდი მართლაც გადამწყვეტი დრო იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ წარსული და შეგვიტანოთ შეცდომები, ნაკლოვანებანი და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანია წარმართოს ახალ მოთხოვნათა დონეზე ჩვენს რესპუბლიკაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის ვითარების შესაბამისად.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეული საანგარიშო კრება გახდეს ნაკლოვანებათა მკაცრი კრიტიკის, დანაშაულებათა და შეცდომათა უმოწყალო მხილების ტრიბუნა. კრებებზე გამართული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ნაკლოვანებათა მხილება, ჯგუფების თავჯდომარეთა და საგუშაგოს ხელმძღვანელთა მოღვაწეობის მკაცრი პარტიული შეფასება იმის გარანტია იქნება, რომ შემდგომ საანგარიშო პერიოდში წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით უფრო მეტი ცოდნით, გამოცდილებითა და ენერგიით ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ, ერთგულად ამოვუდგეთ მხარში პარტიულ ორგანიზაციებს, დავეხმაროთ მათ იმ ისტორიული ამოცანების შესრულებაში, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მემართველობაში პარტიხადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

სახალხო კონტროლის ორგანოთა ანგარიშგება-არჩევნები დიდი პარტიული საქმეა. ჯგუფებისა და საგუშაგოების ცხოვრებაში ეს დიდმნიშვნელოვანი კამპანია პარტიის რაიკომების, ქალაქკომების განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს. სახალხო კონტროლიორთა ანგარიშგების ღრმად და საქმიანად განხილვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები. მათთან ერთად კრებაზე უნდა გამოვიდნენ და თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა თქვან ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაკებმა. ამ მნიშვნელოვანმა კამპანიამ სათანადო ასახვა უნდა პპოვოს რაიონული და საქალაქო გაზეთების ფურცლებზე.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, დგას საკითხი, რომ ახლად არჩეული სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები და საერთოდ ეს ორგანოები წარმოადგენდნენ ადამიანთა ისეთ კოლექტივებს, რომელთა წევრები გამოირჩევიან საქმის ღრმა ცოდნით, პატიოსნებით, თავმდაბლობით, უანგარობით, კოლენინური ბიალი იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

დიდი და საპატიო არჩეული იყო სახალხო კონტროლიორად, შედიოდე საგუშაგოს შემადგენლობაში. მაგრამ ეს უაღრესად პასუხსაგები მოვალეობაც არის. ხალხის, შრომითი კოლექტივის ნდობის ღირსია მხოლოდ ის, ვინც სამაგალითოა შრომაში, პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებაში.

ახლად არჩეული სახალხო კონტროლიორები, უნდა იყონ სოციალისტური შეჯიბრების ნაპირა პელდაგულებათა შესრულებისათვის მებრძოლთა ავანგარდში, იმათ რიგებში, ვინც ფთელი გულით, შეგნებით. საქმით, გამოცდილებით, მარჯვენითა და გონებით შრომის და ფოლვაწეობის ხაკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის XXIV ყრილობის ფინანსწარდასახულოგათა ხორცშესხმისათვის

# ალეგულია ხუთწლედის მიჯნა

### თბილისის ჩაის საფონი ფაბრიკის ახალი გაზრდილი ჭალდებულებანი

**ბრსებულ** საწარმოო ფართობზე ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით თბილისის ჩაის საფონი ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების 1973 წლის დონეს მიაღწია, ხუთწლედის ბოლო წელს უნდა გამოგვეშვა 12.700 ტონა პროდუქცია, შარშან ფაქტიურმა შესრულებამ 13.755 ტონა შეადგინა.

მიღწეული ზღვარი არ არის. წარმოებაში არის რეზერვები პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდებისათვის. პირველი — ეს არის შრომის დისციპლინის გამტკიცება. მოდენების შემცირება, სოციალისტური შეჯიბრების უფრო გონივრულად მოწყობა, მორალური და მატერიალური სტიმულების უფრო სწორად გამოყენება.

საწარმოში მექანიზაციის დანერგვის შედეგად სისტემატურად იზრდება პროდუქციის გამოშვება. 1955 წელს ფაბრიკაში მუშაობდა 318 კაცი და გამოვუშვით 5.141 ტონა პროდუქცია, შარშან თითქმის ამდენივე მუშახელით 13.755 ტონა ჩაის პროდუქცია დავამზადეთ, ე. ი. ერთ მუშაზე პროდუქციის გამოშვება 2,5-ჯერ გაიზარდა.

შარშან, მიუხედავად დაძაბული გეგმისა, ფაბრიკის კოლექტივმა 1974 წლის გეგმის საკონტროლო ციფრებთან შედარებით დამატებით გამოვუშვათ 2 ათასი ტონა ჩაი, გამოშვებული. პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 20 ათასი მანეთით, მოვალეთ 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი. მოგება, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გავზარდოთ 1,8 პროცენტით.

შემხვედრი გეგმის შესრულებისათვის საწარმოში განხორციელდა მრავალი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება. დამხარისხებელ საამქროში დაიდგმება მრავალპოზიციური ავტომატი, სატარე საამქროში უუთების შემკერი მანქანა, ჩამწყობ განყოფილებაში დამონტაჟდება ფუთოლების დამწყობი მექანიზმი.

პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ უურადღებას ვუთმობთ ხარისხის გაუმჯობესებას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ავტომატებზე დაყენებულია მაგნეტური სეპარატორები, რომლებიც მკვეთრად აამცირებენ ფერომინარევების რაოდენობას. ნარევის შედეგნის დროს დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა რაიონებიდან მიღებული ჩაების შერევას, რაც ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ 1974 წლის დაძაბულ გეგმებს და გაზრდილ ნაკისრ ვალდებულებს შეასრულებენ. ამის თავდებია წლის პირველი დღეებიდანვე რიტმული, გამართული მუშაობა.

შ. ჯიშკარიანი,
თბილისის ჩაის საფონი ფაბრიკის დირექტორი.

# მეგარიტეთა ახალი ნაგიჯები

**ონი.** მდინარე ჯეჯორის ხეობა თოვლით არის დაფარული, სქელი თოვლის საბანი ახურავს ღუსორის მთას, რაკეში მეცი ზამთარია, მაგრამ მაინც შეუფერხებლად მუშაობს ჩორდის ბარტის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი დ. მეტრიკელი) კოლექტივი.

საბჭოთა ქვეყნის ყველა შრომელთან ერთად ჩორდელმა მეგარიტეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველის და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ გამოქვეყნებული დადგენილების პასუხად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ვალდებულებაში ნათქვამია: 1974 წლის საწარმოო გეგმა. შეასრულონ 27 დეკემბერს, გეგმის ზევით გამოუშვან 500 ტონა ბარიტის კონცენტრატი, მოახდინონ 35 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია, მიიღონ 3 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, კვალიფიკაცია აუმაღლონ 80 მუშაკს, დაზოგონ 35 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 40 ტონა პირობითი საწვავი, 150 კუბური მეტრი ხის მასალა, დაზოგილი მასალებით იმუშავებენ 3 დღეს, დანერგონ 15 რაციონალიზატორული წინადადება, რითაც მიიღონ 60 ათასი მანეთი ეკონომია.

ნ. დუუაშვილი.

### ბოლის ზეგეგმითი საათობები

**ბ ა ს ბ ა ჩ ი ნ ი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მაღალნაყოფიერი შრომით უპასუხებენ ტყვარჩელელი მეშახტეები. დაწინაურდა № 2 შახტის კოლექტივი. აქ ცდილობენ გეგმის გადამეტებით 3-4 ტონა ჟანანახშირი იღებენ. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევს სოციალისტური შრომის გმირი ლ. ტყვეშაკავა, რომელიც ცვლის დავალებას 5 ტონით ეჯარბებს.

მეშახტეები იმისათვის იბრძვიან, რომ გეგმა, რიგორც კანონი, პირველი დღეებიდანვე გადამეტებით სრულდებოდეს.

# დაჭირეგას საქმით განვამტკიცეგთ

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველობა სპასუხოდ თბილისის საუნ მასალათა კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა თბილისის მოწინავე საწარმოთა ინიციატივა, რომელებმაც მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე სოციალისტური შეჯიბრება დეკემბრის: ხუთწლედის მეორეს, განმსაზღვრელ წელს — დაჩქარებული შრომა!“. კომბინატის კოლექტივმა მიუხედავად სხვადასხვა სიძნელეებისა პროდუქციის რეალიზაციის იანვრის პირველი ნახევრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

კომბინატში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელიც გასული წლის შედეგების განხილვასა და ახალი გადიდებული ვალდებულებების აღებას მიეძღვნა. აღინიშნა, რომ საწარმომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალება ვადამდე, გადაჭარბებით შეასრულა. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 7 დეკემბრისათვის განაღდა, ბუმის გადამეტებით გამოშვებულია 252 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 5,1 პროცენტით.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის გეგმები დაძაბული და მეტად პასუხისგებია. მათს მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, არამედ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯიც გახდება მომავალ ხუთწლეულში ეკონომიური ამოცანების შედეგიმი ზრდისათვის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მტკიცე საფუძვლის შექმნის გზაზე.

შარშან სოციალისტური შეჯიბრების მქლავრ ნაკადში იმვა ახალი შესანიშნავი თაოსნობანი, თავი ისახელა ათასობით შრომის დამკვრელმა და გმირმა. ახლა მთავარია ეს შეჯიბრება კიდევ უფრო შემოქმედებითად გავფართოოთ და ვიმუშაოთ დღეს ზეგეგ, ვიდრე გუშინ.

საწარმოს კოლექტივმა ღრმა ანალიზი გაუკეთა გასული წლის შედეგებს, გაითვალისწინა ყველა რეზერვი და გადაწყვიტა 1974 წლის სახალხო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულოს, გეგმის გადამეტებით ეწარმოოს 57 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლოს 2 პროცენტით, ხოლო გასულ წელთან შედარებით 5 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით შეამციროს, მიიღოს 15 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, განაგრძელოს მოძმე-ბინერობის მტკიცე რეჟიმი და დაზოგოს 45 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 30 ტონა პირობითი სათბობი.

კრების მონაწილეებმა: მ. მგელაძე — საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი, ი. მესხი — პარტორგანიზაციის მდივანი, ზ. მეძვაბიშვილი — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ქართველიშვილი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ბ. კაკოთელაძე, ნ. ჩიტიძე, — მუშები.

# მოსკოვი ეპატიჟება ოლიმპიადას

საბჭოთა ხალხტული, საზოგადოებრივი და სასელმწიფო ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა 22-ე ზაფხულის ოლიმპიადამ, თუ მის მოწყობას მოსკოვს მიანდობენ, ჩაიაროს მაღალ დონეზე, ფაროო წარმომადგენლობით, ოლიმპიური იდეების და პრინციპების სულისკვეთებით. ეს აზრი იყო 1980 წელს გაზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის მომწყობად მოსკოვის კანდიდატურის დასასელების მოსამზადებელი კომიტეტის იმ პირველი სხდომის ლეიტმოტივი, რომელიც 22 იანვარს გაიმართა. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

— ჩვენი კომიტეტის ამოცანა, — თქვა მისმა მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. პავლოვმა, — უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ კოორდინაცია უყოს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციათა ღონისძიებებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის, წინ, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში აირჩევს 1980 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორ ქალაქს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოლიმპიადას აღუთქვა ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიები, ამასთან ხავსებით დაუჭირა მხარი ქალაქ მოსკოვის ხელისუფალთა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მიერ წინათ გამოთქმულ მიზეზებს, რომ ეს ასპარეზობა მოეწყოს საბჭოთა დედაქალაქში.

ხხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ი. ა. სკლიაროვი.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ბ. პ. ვონნაროვი.

(საკდესის კორ.).

# კუბაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო

**კუბის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამხ. **ფიდელ კასტრო რუსის** მიწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** ამა წლის იანვრის დამლევს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავა კუბის რესპუბლიკაში.

# ქართულ ენაზე

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა მასალების კრებული „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში“ (ხაქინფორმი).

# სამშობლოს ჯილდოები გმირ კოსმონავტებს

**22 იანვარს** კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** „სოიუზ-13“ კოსმოსური ხომალდის მეთაურს პ. ი. კლიმუკსა და ბორტინჟინერს **ვ. ვ. ლებედევს** გადასცა ლენინის ორდენები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, მედლები „ოქროს ვარსკვლავი“, და სამკერდე ნიშნები „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი“.

სამშობლოს მაღალ ჯილდოები პ. ი. კლიმუკსა და ვ. ვ. ლებედევს მიგნიჭათ „სოიუზ-13“ კოსმოსური ხომალდით ორბიტული ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ფრენის დროს გამოვლენილი მამაცობისა და გმირობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით **ნ. ვ. პოდგორნიმ** გულთბილად და გულითადად მიულოცა საბჭოთა კავშირის გმირებს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს პ. ი. კლიმუკსა და ვ. ვ. ლებედევს სამშობლოს მაღალი ჯილდოები. ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სოიუზ-13“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა ბრწყინვალედ შეასრულა სამშობლოს დავალება და ამასთან გამოიჩინა დიდი მამაცობა და გამძლეობა.

დაჯილდოებულებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ორბიტული ფრენის შედეგების მაღალი შეფასებისათვის და აღთქვეს, რომ მზად არიან შეასრულონ სამშობლოს ყოველგვარი დავალება. (საკდესი).

# სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი

**ამა წლის** 22 იანვარს მოსკოვში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირი. თათბირი ეძღვნება პარტიული მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე გამოკვლილების გაზიარებას და ამ პრობლემათა პრაქტიკულ გადაჭრას მომმე პარტიებში.

თათბირში მონაწილეობენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ველჩევი**; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. პულაი**; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჰ. დოლფუსი**; კუბის კომუნისტური პარტიისაგან — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი **ი. მალმიერკა**; მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ხ. უალან-ადაკი**; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. ბაბიუხი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები **ბ. ულანაროვსკი** და **რ. ფრელეკი**; რუმინეთის კომუნისტური პარტიისაგან — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ანნე**; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები **ი. ვ. კაბანოვი** და **კ. თ. კატუშევი**; ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფ. ონდრიეხი**.

თათბირში მონაწილეობენ მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების ორგანიზაციული, საერთაშორისო და ზოგიერთი სხვა გამგეობათა გამგეები, გამგეების მოადგილეები, აგრეთვე სხვა პასუხისმგებელნი მუშაკები.

თათბირის მონაწილე მოძმე პარტიების დელეგაციებმა გვირგვინი შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

# სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვში

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა ლენინიზმის ტალიონ განსახიერებაა. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა მოხსენებებსა და გამოსვლებს კონფერენციაზე „ლენინის მოძღვრება და



ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

**1974 წლის 23 იანვარს, 17 საათზე ჭადრაკის სახახლეში (ცაროვის სახელობის პარკი, ლენინის ქ. 37) გაიმართება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში („სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი“) წამოყენებული კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე.**

**მოხსენებას თემაზე „შრომის დიფერენციაცია, მუშაობაში ორგანიზებულობის ამაღლება ხუთწლედის წარმატებით შესრულების მნიშვნელოვანი პირობაა“ წაიკითხავს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ა. ჩურკინი.**

**ლექციას თემაზე „მუშათა კლასი თავისი არსებით ყველაზე ინტერნაციონალური კლასია“ წაიკითხავს პროფ. მ. ნაბმელაძე.**

სსრკ ცენტრალური კომიტეტისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1974 წლის 22 იანვარს 71 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ანდანას იუოზის-ძე სნეჩკუსი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## ხუთწლედის მოწინავენი

ობილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მრავალდაჯილდოებული მჭედელი ლოლა ჭანკოტაძე ცნობილია თავისი მაღალი ოსტატობით. 1974 წლის დაკვლევათა ვადამდე შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მოწინავე მჭედელი მაღალ მაჩვენებლებს აღწევს, გრაფიკის გასწრებით მუშაობს.

მრავალი თბილისელი ხატვის მოსმენა შეიძლება პროფტექნიკური ხასწავლებლის მოსწავლეთაგან, რომლებიც საწარმოო პრაქტიკას მისი ხელმძღვანელობით გადიოდნენ. ლოლა ჭანკოტაძე მოთმინებით გადასცემს მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას. მისი მოწაფეები სწრაფად ეუფლებიან სპეციალობას.

ამ სურათზე აღბეჭდილია ლოლა ჭანკოტაძე (ცენტრში) მომავალ მჭედელებთან, პროფტექნიკური ხასწავლებლის მოსწავლეებთან თინათინ ლაშხიასთან და ნათელა გოსტაშვილთან პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

Ж. ბასრაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

## რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

# მეცდომების ჯვირთი

ელეგატებმა, რომლებიც წალენჯიხის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მოკიდნენ, გულახდილად ამსჯელეს იმ შეცდომებსა და ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებსაც წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში და რასაც ვერც წალენჯიხის პარტიული ორგანიზაცია ასცდა.

ძნელია ჩამოთვალო ის კონკრეტული მაგალითები და ფაქტები, ის შენიშვნები, წინადადებანი და დებულებანი, რომლებიც კომათის მონაწილეებმა დასასელეს და წამოაყენეს. ამიტომ გვინდა შეეხოთ ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ფაქტს, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ადგილს, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ეტაპს, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ეტაპზე, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ეტაპზე, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ეტაპზე

# მაესჯის კონტროლი!

საბჭოს კონტროლის №84 გვერდი

**ვიბრძოლეთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის — ნიშნავს მაქსიმალურად ვიყენებდეთ მოძველ აგრეგატებს, მანქანებს, მექანიზმებს, მკვეთრად ვამცირებდეთ მათს მოცდენას, ვზოგავდეთ სამუშაო დროის ყოველ საათს, ყოველ წუთს, განუხრელად განვამტკიცებდეთ შრომის დისციპლინას.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ორგანული ინტერნეტ-ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ საახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებსა და რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში შემავალ ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ამას წინათ იმსჯელა საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტრომ (მინისტრი ნ. ჩიხლაძე, მინისტრის მოადგილეები ე. ჩოფიკაშვილი, გ. ნადაშვილი), უსინათლოთა (თავმჯდომარე ა. გოგიბერიძე, მოადგილეები ა. სამარგულიანი, ა. გოლეთიანი) და ყრუ-მუნჯთა (თავმჯდომარე მ. გეთაშვილი, მოადგილე ი. ოქროპირიძე) საზოგადოებების პრეზიდიუმებმა, მათდამი დაქვემდებარებული რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, უფროსებისა და საზოგადოებრივი დოვლათის გაფლანგვებისა და დაცვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

უფრო მეტიც, ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების უკანასკნელი პერიოდის ზოგიერთი დადგენილება ურეაგირებოდ არის დატოვებული.

ყოველივე ამის შედეგად სამინისტროსა და საზოგადოებებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის (დირექტორი გ. ბახტაძე, მთავარი ინჟინერი გ. ჩუბინიძე, მთავარი ბუღალტერი ე. იმნაძე), აფხაზეთის (დირექტორი ა. გურჯუა, მოადგილე მ. ინალ-იფა, მთავარი ბუღალტერი პ. პოსტოიალკო), მახარაძის (დირექტორი რ. სიხარულიძე), ლანჩხუთის (დირექტორი ა. ხიტირი), საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების (პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გულია) სოხუმის (დირექტორი ე. ქარჩავა, უფროსი ბუღალტერი გ. როხლინი), ოჩამჩირის (დირექტორი ო. ამიჩბა, უფროსი ბუღალტერი თ. ძალაბაძე) საწარმოებში, საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის სასწავლო საწარმოში (დირექტორი ს. შარვაშიძე, უფროსი ბუღალტერი ი. ციციაშვილი) შექმნილია ბოროტმოქმედებათა ჩასადენად ხელსაყრელი პირობები.

მეტისმეტად დაქსაქსულია სასწავლო საწარმოები; ძირითადად ისინი შედგება წვრილ საამქროებისა და უბნებისაგან, რომელთა ნაწილი მოთავსებულია კერძო ბინებში. საწყობები ბევრგან მოთავსებულია უვარგის, ნესტიან სარდაფებში და სათანადოდ არ არის მოწყობილი, ზოგიერთში ჩამოდის წყალი, კარები არ აქვს, ფანჯრები დამტვრეულია, არ გაჩნია თაროები, ვენტილაცია, მატერიალური ფასეულობანი წეხიერად არ ინახება და უვარგისი ხდება.

არასრული მონაცემებით უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებში უვარგის მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება 1973 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 118.6 ათას მანეთს, ხოლო ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოებში ჩაწოლილია გამოუყენებელი მასალები, ნედლეული და გაუსავლელი მზა პროდუქცია სულ 374,6 ათასი მანეთისა.

საწარმოო საამქროებისა და საწყობების შენობები სათანადოდ არ არის დაცული, უზრუნველყოფილი არ არის ხანძარსაწინააღმდეგო აპარატებით, დაცვითი ელექტროსიგნალიზაცია, ტერიტორია ცუდად განათებულია, უმეტეს ნაწილში არ არის დაწესებული სასაშვო სისტემა და არ ხორციელდება კონტროლი მოშენილებისაგან ნედლეულისა და მასალების შემოსავლაზე და მზა პროდუქციის გაცემაზე, დაშვებულია სათანადო შემოსავალ-გასავლის საბუთების გაუფორმებლად საამქროებიდან საწყობებში მზა პროდუქციის ჩაბარებისა და საწყობებიდან ნედლეულისა და მასალების მიღების მრავალი ფაქტი.

აშკარად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მატერიალურ ფასეულობათა ბუღალტრული, სასაწყობო და სასაამქრო აღრიცხვა. საწარმოთა საწყობებსა და საწარმოო უბნებზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მორიგ შვებულებაში გასვლისას ფასეულობათა ინვენტარიზაცია და აღწერა ფორმალურად ეწყობა. საწარმოებში მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ მუშაობენ ნდობადაუმსახურებელი, წარსულში დატაცებების, გაფლანგვებებისა და სხვა ბოროტმოქმედებებისათვის ნასამართლევი, სხვადასხვა დარღვევებისათვის სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებიდან მოხსნილი პირები.

მეტად დაბალია საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დონე. რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დოკუმენტური რევიზიები და მოულოდნელი შემოწმებები ფორმალურია. სოციუზრუნველყოფის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (გამგე ე. აბაზაძე) 1972 წელს სამინისტროს 77 ორგანიზაციასა და საწარმოდან რევიზიები მხოლოდ 32-ში მოაწყო, ხოლო 1973 წელს 10 თვეში — 20 ორგანიზაციაში. 1970 წლიდან რევიზიები საერთოდ არ ჩატარებულა 9, ხოლო 1971 წლიდან — 12 ორგანიზაციაში.

სოციუზრუნველყოფის სამინისტროსა და საზოგადოებათა პრეზიდიუმებში რევიზიის შედეგებს ხშირად საერთოდ არ განიხილავენ, ან განიხილვისას პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ დოკუმენტური რევიზიით დადგენილ ფაქტებს. ხშირად ამ დარღვევების დამშვებთა — თანამდებობრივ პირთა მიმართ ახორციელებენ სასჯელს აშკარად ლიბერალურ ზომებს.

სარგებლობენ რა სოციუზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში შექმნილი უკონტროლობითა და უპასუხისმგებლობით, სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მატერიალურად პასუხისმგებელ და სხვა თანამდებობებზე მომუშავე უპატიოსნო პირები შეუფერხებლად სჩადიან ბოროტმოქმედებებს და ხელყოფენ სახელმწიფო საზოგადოებრივ საკუთრებას.

სამინისტროსა და საზოგადოებათა პრეზიდიუმების მონაცემებით სოციუზრუნველყოფის სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1971 წლიდან ამ შემოწმებამდე გამოვლინებული დაკაცებებისა და გაფლანგვების თანხა 165 ათას მანეთს შეადგენს. ამავე შემოწმებით 7 საწარმოში გამოვლინებული იყო 110,8 ათასი მანეთის სახაჭონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და 50,7 ათასი მანეთის ზედმეტობა.

საწარმოებში არ ხორციელდება სათანადო კონტროლი მასალების ხარჯვის აღრიცხვისადმი. ბევრ შემთხვევაში მასალები ერთ ერთეულ გამოშვებულ პროდუქციაზე ჩამოიწერება არა ფაქტიური ხარჯვის, არამედ ნორმების მიხედვით, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში გადიდებულია. ამის შედეგად საწარმოთა საამქროებში იქმნება მასალებისა და ნედლეულის დიდი მარაგი აღურიცხავი პროდუქციის გამოსაშვებად.

სასწავლო საწარმოებში გვხვდება დაბალი ხარისხის

# დროვლათის გაფრთხილება უნდა

პროდუქციის გამოშვების ბევრი ფაქტი. მარტო 1973 წლის 9 თვეში ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო საწარმოებს მომხმარებლებმა დაუბრუნეს 231,2 ათასი მანეთის პროდუქცია, რისთვისაც ჯარიმის სახით ამ საწარმოებმა გადაიხადეს 9,5 ათასი მანეთი. აღნიშნული საზოგადოების საწარმოთა მიერ გადახდილი სხვადასხვა ჯარიმებისა და საურავის თანხა 1972 წელს და გასული წლის 9 თვეში შეადგენს 491 ათას მანეთს, ხოლო მთლიანად სამინისტროში — 830,2 ათას მანეთს. ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებელთა მიერ დაბრუნებულ წუნდებულ პროდუქციას არ შეაკეთებენ და ისეთსავე მდგომარეობაში სხვა მომხმარებელს უგზავნიან.

საზოგადოებათა მთელ რიგ საწარმოებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოწყობილობის, დაზგებისა და აპარატურის აღრიცხვას, შენახვასა და გამოყენებას. მარტო საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო საწარმოში, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების აფხაზეთის რესპუბლიკური განყოფილების სოხუმისა და ოჩამჩირის სასწავლო საწარმოებში გამოვლინებული იყო 79,6 ათასი მანეთის დაუდგენელი და გამოუყენებელი მოწყობილობა (შეძენილი 1967-1972 წლებში), რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ინახება ღია ცის ქვეშ და ფუჭდება.

სოციუზრუნველყოფის სამინისტრომ ჯერ კიდევ სათანადო წესრიგი ვერ დაამყარა პენსიების ოდენობის სწორად განსაზღვრისა და დანიშვნის საქმეში. ხშირად პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე კანონის დარღვევის შედეგად რაიონალმასკომების სოციუზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაკები პენსიონერებს უნიშნავენ გადიდებული ოდენობის პენსიას, რის შედეგად ზედმეტად იხარჯება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრები. სამინისტროს მონაცემებით მარტო 1972 წელს და 1973 წლის 9 თვეში გამოვლინებული იყო 2.732 ასეთი შემთხვევა და ზედმეტად გადახდილია 852 ათასი მანეთი.

საზოგადოებებისა და საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში უხეში დარღვევებისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტები იმის შედეგიც არის, რომ სამინისტრომ თავი აარიდა კონტროლს საქართველოს ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებებისა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა საქმიანობისადმი. იმავეთავად სწავლობენ და სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განიხილავენ ამ საზოგადოებების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ბოლო ცალკეული საკითხების განხილვისას პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ დარღვევების ფაქტებს და დამნაშავეთა მიმართ იღებენ სასჯელის ლიბერალურ ზომებს.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომამ მიიღო ცნობად ის, რომ უსინათლოთა საზოგადოების მახარაძისა და ლანჩხუთის სასწავლო საწარმოთა შემოწმების შედეგები განიხილეს სახალხო კონტროლის შესახებ ამ საქართველოს სსრ საახალხო კონტროლის კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით მახალები აფხაზეთის სასწავლო საწარმოში ფასეულობათა დიდი დანაკლისის შესახებ გადაეგზავნა სოხუმის პროკურატურას და მიმდინარეობს ძიება; საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით ამ სასწავლო საწარმოს დირექტორი ა. გურჯუა და დირექტორის მოადგილე მ. ინალ-იფა მოხსნილი არიან და დაკავებული თანამდებობიდან. მასალები სოღანლუღის სასწავლო საწარმოს შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურას.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გოგიბერიძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისადმი დაქვემდებარებულ სასწავლო საწარმოთა საქმიანობისადმი, რის შედეგად ამ საწარმოებში კვლავ აქვს ადგილი დარღვევებისა და ბოროტმოქმედებების ფაქტებს, გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ამავე საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებს ა. სამარგულიანსა და ა. გოლეთიანს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. თანამდებობიდან გადაყენებული არიან საზოგადოების საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების გამგე გ. ცქიტიშვილი და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების გამგე ე. აბაზაძე, ხოლანლუღის სასწავლო საწარმოს დირექტორი გ. ბახტაძე, ხოლო ამავე საწარმოს მთავარ ინჟინერს გ. ჩუბინიძეს და მთავარ ბუღალტერს ე. იმნაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის საქმეში უხეში დარღვევების დაშვებისათვის საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. გეთაშვილი იმსახურებს მკაცრ სასჯელს, მაგრამ ვინაიდან ის ამ თანამდებობაზე დიდი ხანი არ არის რაც მუშაობს, კომიტეტმა საკმარისად ჩათვალა მისი მკაცრი გაფრთხილება, ხოლო საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ბუნებრივის განყოფილების თავმჯდომარის, ი. გულიას პასუხისმგებლობის საკითხი განხილული იქნება შვებულებიდან მისი დაბრუნების შემდეგ. ამასთან ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სოხუმის ხასწავლო საწარმოს უფროსი ბუღალტერი გ. როხლინი გადაყენებულია თანამდებობიდან, ხოლო ამავე საწარმოს დირექტორის ი. ქარჩავას მიმართ კომიტეტმა საკმარისად ჩათვალა სასტიკი საყვედური.

მატერიალურ ფასეულობათა მკაცრი აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ზომების მიუღებლობის, გამოსაშვებ პროდუქციაზე მასალების ხარჯვაში დარღვევების დაშვებისათვის სოციუზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის სასწავლო საწარმოს დირექტორს ს. შარვაშიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ამავე წარმოების უფროსი ბუღალტერი ი. ციციაშვილი და საწარმოო უბნის უფროსი გ. ქელბაქიანი გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან.

მასალები საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების ოჩამჩირის სასწავლო საწარმოში, ამავე განყოფილების სოხუმის სასწავლო საწარმოში და საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის სასწავლო საწარმოში მატერიალურ ფასეულობათა დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ გადაეგზავნა შესაბამისად ოჩამჩირის რაიონის, სოხუმისა და ქუთაისის პროკურატურას.

# უმოქმედო ჯგუფი

### როცა ზაკლოვანებებს თვალს არიდებენ

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგედან ასეთი სიგნალი მივიღეთ: კოლმეურნეობაში ირღვევა მიწათსარგებლობის წესები, თვითნებურად ანაწილებენ პრემიებს, მოკრეფილი ჩაის 40 პროცენტი მეორე ხარისხისაა, ჩამორჩება მეცხოველეობა, დაბალია ციტრუსების მოსავლიანობა, აქტიურობენ რელიგიის მსახურნი. მდგომარეობის შესამოწმებლად კოლმეურნეობაში გავემგზავრეთ.

ახლა, როცა რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად დაარაზმნენ ადრინდელი შეცდომებისა და დამნაშავეობების ალმოსაფხვრელად და ძალ-ღონეს არ იშურებენ სახელმწიფო გეგმების ვადამდე მესასრულებლად; მეორედ დარღვევებიც კი აღმოფოთებას იწვევს იქ, სადაც ზოგიერთი ხელმძღვანელი თვითნებობას ირნს და ისევ ძველი სტილით მუშაობს. ძალაუნებურად წამოგეკრებათ კითხვა — რას აკეთებენ პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები და სახალხო კონტროლის ჯგუფები?

ბოლო დროს განსაკუთრებით დიდი როლი მიენიჭათ სახალხო კონტროლის ჯგუფებს. მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ სამეურნეო ორგანოებს სახელმწიფო გეგმების და ვალდებულებების შესრულებაში, ხელი უნდა შეუწყონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ფულადი სახსრების სწორად გამოყენებაში, მომგებიანობის გაზვიადებაში, სოციალისტური საკუთრების დაცვაში.

რა გაკეთდა ამ მხრივ ვრგეს კოლმეურნეობაში?

შემოწმებით დადგინდა, რომ აქ სასტემატურად ირღვევოდა შრომის დისციპლინა. მარტო მესამე ბრიგადიდან გარე სამუშაოზე წავიდა 20 კაცი, მრავალი კოლმეურნე სავალდებულო მინიმუმსაც კი ვერ ასრულებს, ციტრუსების პლანტაციებში დიდი სიმეჩხრეა, აქ არ იბრძვიან შრომის ნაყოფიერების განსადიდებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. სოციალისტური მეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, გააქტიურდნენ რელიგიის თვითმარქვია მსახურნი.

იბადება კითხვა — ასეთ ვითარებაში რა ეკეთა სახალხო კონტროლის ჯგუფმა და მისმა თავმჯდომარემ ჯუმალ დოლიძემ?

სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მოვიკითხეთ, გაგვაცნო ხანდაზმული, ეუყურადღებო, თავმდაბალი კაცი ვკითხეთ, მისთვის ცნობილი იყო თუ არა ის ნაკლოვანებები, რაც კოლმეურნეობის გამგეობას მუშაობაში გააჩნდა? შეიარაღებული ცნობილი იყო, გვითხრა, — მერე, თქვენ გამოსასწორებლად რა ზომები მიიღეთ, გამგეობას რით დაეხმარეთ-მეთქი, ისევ შევკითხე. მან ბუნდოვნად მხრები აიჩეჩა.

ვთხოვეთ ეჩვენებინა, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე რა საკითხები განხილა, რა ღონისძიებები დასახა. ჯერ გვითხრა, კანტორაში ჩემთვის სამუშაო ადგილი არ გამოუყვიათ, საქმეები სასლში მაქვსო. შემდეგ გამოირკვა, რომ სახლში სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრთა სიის გარდა არაფერი გააჩნდა, მას არცერთი საკითხი არ მოუმზადებია და არ განუხილავს, ყველაფერი თვითდინებაზე იყო მიშვებული. უკონტროლობას, უპასუხისმგებლობას სავალალო შედეგი მოჰყვა. კოლმეურნეობაში არც პარტიული ორგანიზაცია აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ორგანიზაციული საქმეების გამკითხავი ერგეში არავინ აღმოჩნდა.

საკვირველი ის არის, რომ ჯემალ დოლიძე წინა წლებში იყო არჩეული სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ. [illegible] ჩასალ- [illegible] ოჭი, [illegible] ჯდომარეს და პარტბიუროს [illegible] „პატიოსანიაო“, მითხრეს. ამ ადამიანებს ეკითხა ვერ გაუგიათ, რომ პატიოსნებაც არ არის ის სიმაღლე, რომელიც ინალად ძეხაფვდომი იყოს. ღღეს ყველა მოქალაქე პატიოსანი უნდა იყოს და თუ ჩვენს საზოგადოებამი შემოსვლისთვის გამოერეოდა უპატიოსნო სუბიექტი, ასეთ ელემენტს თვით საზოგადოება გარიყავს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჯ. დოლიძე იმიტომ აირჩიეს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ. რომ იგი მორჩილი. გამგონე. ეუყვინარი კაცი არის. ალბათ ზოგიერთს სჭირდებოდა კონტროლის ჯგუფის ასეთი ხელმძღვანელი. აკი ასი ბინი ბიუროს პროტოკოლიც დაგაჯილდოს იგი. ალბათ იკითხავთ — რისთვის? იმისთვის, ბიმ არა, რომ საქმე ჩაშალა, პარტიის, საზოგადოების ნდობა არაფრად ჩაგდო.

ამ დარღვევებში, რაც ერგეს კოლმეურნეობის საქმიანობაშია შესამჩნევი, კოლმეურნეობის გამგეობასთან და პარტორგანიზაციის ბიუროსთან ერთად ბრალი სახალხო კონტროლის ჯგუფსაც მიუძღვის.

საკითხავი კიდევ ერთი რამ — ამ ხნის განმავლობაში სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი რატომ ერთხელაც არ დაინტერესდა, თუ როგორ მუშაობდა ერგეს კოლმეურნეობაში სახალხო კონტროლის ჯგუფი?

ერგეს ამბები გაკვეთილი უნდა გახდეს სხვებისთვისაც. არჩევით ორგანოებში ისეთი ადამიანები უნდა დავაწინაურონთ, რომელთაც უნარი შესწევთ ამოჭმედონ, დარაზმონ და თან გაიყოლიონ ხალხი საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად.

მ. მიხეილიძე.

## ადგილობრივ კომიტეტებში

### აი, რას იწვევს წაყრუება

**ჩიხატაური.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა კოლმეურნეობებში სათესლე ფონდების კონდიციამდე დაყვანის საკითხზე. როგორც გამოირკვა, ბევრგან დროულად ვერ განახორციელეს სათესლე ფონდების გამოყოფის, მისი შენახვისა და კონდიციამდე დაყვანის ღონისძიებანი.

ეს ნაკლოვანებანი იგრძნობა ფინეულის, ნამიდლავის, კოხნარის, ბუკისციხის, ერკეთის, ხვევის, ზოტისა. და სხვა კოლმეურნეობებში. აქ საქმე იქამდეც მივიდა, რომ თავის დროზე არცერთი სახის სათესლე მასალა არ ჰქონდათ გამოყოფილი.

სათესლე ფონდების გაუმოყოფლობა, ან კონდიციამდე დაყვანის საქმეში მოგვიანებლობა ზოგიერთ კოლმეურნეობებში, ბიდგინის, ბიდგ-ბის მშენებლობის № 9 სამმართველოს — 10. ვაგონი. დიდი რაოდენობით იყო აგრეთვე გასატანი ნამკერავლო ფაბრიკის, „საქართველოს“ განყოფილების და სხვათა სახელზე მოსული კონტეინერები.

დიდია ვაგონების ზენორმატიულ მოცდენები და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ჯარიმების ოდენობა. მაგალითად, 1973 წელს რკინაბეტონის ქარხანას მოცდენილი აქვს 11.344 ვაგონ-საათი, რისთვისაც ჯარიმის სახით გადახდა 2.928 მანეთი, № 4 სამშენებლო სამმართველომ ამავე პერიოდში მოაცდინა 1.249 ვაგონ-საათი და ჯარიმის სახით გადაიხადა 500 მანეთი.

### რატომ იკლო „უწერამ“?

ონი. (საკ. კორ.). სამკურნალო წყალმა, „უწერამ“, ფართოდ გაითქვა სახელი, მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ეს წყალი ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ქალაქში იგზავნება.

მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საგრძნობლად შემცირდა ასეთი უებარი წყლის ჩამოსხმა. შარმანწინ ქარხანამ დაგალება სანახევროდ შეასრულა. შარშან კი მხოლოდ 21 პროცენტით.

სწორედ ამაზე გაამახვილა თავის სხდომაზე ყურადღება ონის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. აღინიშნა, რომ ქარხანაში არსებული მოთლების სარეცხი მანქანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნახევრადავტომატური ჩამოსხმის წარმადობას, რის გამო ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი. იმ დანადგარს რომელიც მთელ ამ პროცესს წარმართავს, მოშლილი აქვს ჩამრთავი ავტომატი. ჩამომსხმელ და მსუფავ ხანძრებს კაპიტალური რემონტი სჭირდება. ქარხნიდან დროულად არ გააქვთ მზა პროდუქცია, ქვანახშირის უქონლობის გამო არ მუშაობს საქვაბე და ფერხდება საწარმოს ცხელი წყლით უზრუნველყოფა.

ქარხნის შენობა მოუვლელია, წესრიგი არც მის ტერიტორიაზეა დაცული. მიმიფანტულია ნაფუდგმელი და ჩამოწერილი მექანიზმები.

კომიტეტმა მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის ონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორს ვ. ყაღლაშვილსა და მის მოადგილეს პ. ჩიხრაძეს გამოუცხადა საყვედური და დაავალა მათ უმოკლეს დროში გარდაქმნან მუშაობა.

### სად ინახავენ ფულს?

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფულადი სახსრების მიღების, დაცვისა და გაცემის მდგომარეობა შეესწავლა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. გაირკვა, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სასოფლო საბჭოებს გადაეცათ საუწყებო საბუღალტრო აღრიცხვის საქმეები და შეიქმნა ცენტრალური ბუღალტერია, მაგრამ დიდი თანხების შესანახად და დასაცავად მათ სათანადო პირობები არა აქვთ. მეგრგან ტექნიკური ბაზა არ უვარგათ. სრულიად გამოუსადეგარი ფოსტის შენობები ქვეყა ჩხოროწყუში, ნაკიანში, ჭოღაში, ნაფიჩხოვოსა და სხვაგან. აქ სალაროების სეიფები დგას სამუშაო თთახში.

ზოგან სალაროებში ინახავენ იმაზე მეტ თანხას, ვიდრე ეს წესით არის გათვალისწინებული. ასეთი სურათი იყო შემოწმების დღისათვის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ჩხოროწყუს ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სალაროებში.

დასასულია საათანადო ღონისძიებანი.

### ანგარიშს აბარებს...

**აბაშა.** (საკ. კორ.). სოფელ სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის ანგარიში. მოხსენებით გამოვიდა ამავე ჯგუფის თავმჯდომარე ლ. კუტცა. აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები გარეკეულ მუშაობას ეწევიან მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ იგრძნობა ნაკლოვანებანი. სიკეთოა წესრიგის დამყარება ავტოპარკში, სუტია კონტროლიორთა მეთვალყურეობა საკვების ხარჯვაზე, მეურნეობამ ვერ შეასრულა ხორცისა და რძის წარმოების და დაგროვიანების გეგმა.

კამათის მონაწილეებმა ე. ხუტარიამ, მ. გამხარდიამ, თ. თელიამ, გ. ნოდიამ და სხვებმა, მუშაობას გასაუმჯობესებლად პრაქტიკული წინადადებანი წამოაყენეს.

კამათის მონაწილეთა საქმიანი წინადადებების გათვალისწინებით კრებამ მიიღო საჭირო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება დაეხმარება სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას წესრიგის დამყარების საქმეში.

## რამდენიმე სტრიქონით

### საყურადღებო სიგნალები

● **მიწათსარგებლობისა** და ბინათმშენებლობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები გამოაღინა ყაზბეგის სახალხო კონტროლის კოლუქტივმა. სოფლების არშის, სიონის, სნოს, ყაზბეგის კოლმეურნეობის წევრები ნორმაზე მეტ მიწის ნაკვეთებს ფლობენ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია ზონარგაყრილი წიგნების წარმოების წესი, ზოგან უხეშად აღოდვევენ ბინათმშენებლობისა და მიწათსარგებლობის წესებს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ყაზბეგის მახარაძის, სნოს ლენინის, სიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობებმა (თავმჯდომარეები — ვ. ჩოფიკაშვილი, გ. ფირანიშვილი და ფ. გოგიშვილი) კერძო ბინათმშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოუყვეს ისეთ პირებს, რომლებსაც სოფელთან კავშირი არა აქვთ. ამ საქმეში სათანადო კონტროლსა და ზედამხედველობას არ ახორციელებენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო.

● **ბათუმის** ხისდამამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ნ. ძაძამია, მთავარი ბუღალტერი მ. ლომთათიძე) უკანონო ოპერაციის შედეგად შეძლო პროდუქციის რეალიზაციის თანხის 9.945 მანეთით გაზრდა და რესპუბლიკის სტატისტიკურ ორგანოებს წარადგინა არასწორი მონაცემები ამ მხრივ გეგმის 100 პროცენტით შესრულების შესახებ. აქვარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა სახელმწიფოს მოტყუების, საწარმოო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტი და სიყალბისათვის დირექტორი ნ. ძაძამია და ბუღალტერი მ. ლომთათიძე თანამდებობიდან გადაყენა. მასალები ანმაშავე პირთა შესახებ გადაეგზავნა საგამომძიებლო ორგანოს.

● **ნინოწარმინის** მშენებლობის კაშხალმშენისა და გვირაბმშენის სამმართველოში ხელგადებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა შეამოწმა ხელგადიდის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა. აქ გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, კაშხალმშენის მუშათა მომარაგების განყოფილების № 1 და № 4 სასადილოებში, № 1 კაფეში, № 2 გასტრონომში, ვირაბმშენის მუშათა მომარაგების განყოფილების №2 სასადილოში და ერისწყლის № 1 სასურსათო მაღაზიაში გამოფენილია ანტისანიტარია, უმეტესი ზენობების იატაკი, ჭერი, კედლები, გაჭუჭყიანებულია, ჭვარ-ჭვარი შესაცვლელია, ზოგან მაცივარ-დახლი არ მუშაობს, ზოგან კი გაბინძურებულია, ბევრგან დაბალია ყერძების ხარისხი, არ იცავენ ყალორიულობას. დარღვევები, უსუფთაობა, დაბალი ხარისხის ყერძების დამზადება იქის შედეგია, რომ ენგურჰესის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელები დღემდე არასაკმაოდ ახორციელებენ ქმედითი ღონისძიებებს მათდამი დაქვემდებარებული ობიექტების სანიტარულ-ტექნიკური და ვეტერინარის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

## ● როცა ვასუხს არ სთხოვენ

### ფყალი — ხალხის სამსახურში

ნყალი რომ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, ეს განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს. იქ, სადაც გონივრულად იყენებენ წყალს, არა მარტო ზრდიან მოსავლიანობას, არამედ პროდუქციის თვითღირებულებასაც ამცირებენ. სხვებთან ერთად ამაზე ალბათ დაგვეთანხმებიან სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა ■ ხელმძღვანელები, სპეციალისტები, რომელთა ხელზე 13.000 ჰექტარამდე სარწყავი მიწაა.

როგორ იყენებენ ისინი ამ რესურსებს?

ძალიან ცუდად. სწორედ ეს არის სიმინდისა და ბოსტნეულის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. სოფელ ბნაგის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლიანობამ ჰექტარზე მარცვლად ექვსი ცენტნერი შეადგინა. ანაგელები გვეტყვიან, ამ ნაკვეთებზე მორწყვა ხომ ჩატარესო. დიახ, ჩაატარეს, მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ისე უბასუხისმგებლოდ, რომ სარგებლობის ნაცვლად მან ზარალი მოუტანა კოლმეურნეობას. ისეთივე გამეჩხერებული ნათესი ჯერ წყალმა წალეკა, შემდეგ კი სიცხემ ამოწვა.

არასწორი და უმეთვალყურეო რწყვის შედეგად, ნიადაგის ჩარეცხვისა და დატბორვების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა კოლმეურნეობებსა

ᲞᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

# ᲒᲣᲠᲐᲛ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲠᲕᲘᲚᲘ

## 1.

ᲐᲛᲣᲮᲨᲘ გურამ ვირსალაძე მარტო ცხოვრობდა. ომამდე მახზე მშიერული კაცი და უკვეთესი თამადა მთელ რაიონში არ მოიძებნებოდა. ორმოცდასამში ვაჟიშვილი დაეღუპა, — დემეტრე ვირსალაძე, ლერწამივით ტანწერწეტა და მზესავით მწველი ვაჟკაცი. ვინ არ იცნობდა მას! როცა დემეტრე ფრონტზე მიდიოდა, ყველამ დაინახა, თუ როგორ აქვითინდნა მეიდიკო — ველისციხის ულამაზესი ახალგაზრდა.

მალე დემეტრემ სურათი გამოგზავნა, ცხვირაჯეკი რუს ჯაბუკთან ერთად. „ჩემი მეგობარია, ნიკოლოზ რაპოხინი, — ეწერა სურათის უკანა მხარეს, — ერთად ვიცლით ბერლინამდე და ერთადვე ჩამოვალთ“. გურამის ცოლი ფოტოგრაფთან წავიდა და ერთი ასეთივე სურათი გაამზადებინა, რომელიც მედიკომ წაიღო.

სამი თვის შემდეგ კი დემეტრე ფრონტზე მოკლეს. დედამისმა დაღუპვის ქაღალდი რომ წაიკითხა, ღონემისდილმა ჩაიკეცა ტახტზე, მერე ჩაწვა და აღარც წამომდგარა. მეიდიკო იმ დღიდან თბილისში წავიდა და სოფელში აღარ დაბრუნებულა.

გურამი მარტოდმარტო დარჩა. ძველებურად ეპატიჟებოდნენ ხოლმე ქორწილში, მაგრამ არავის ეკარებოდა. ერიდებოდა თავისი დაღვრემილი სახით ადამიანებისათვის სიხარული არ წაერთმია. მეორე ცოლის მოყვანა არც უფიქრია, ვერ წარმოედგინა სახლში ისეთი ქალი ჰყოლოდა, რომელსაც არაფერი ეცოდინებოდა დემეტრესი, არც ის, თუ როგორ აიდგა ფეხი, არც ის, მაღლად როგორ ეკვეთვადა ეზოში, სახლის უკან, რათა მერე სოფლელ ბიჭებში ყველაზე უკეთ ეცეკვა.

და მოულოდნელად, შვილის დაღუპვიდან ოცდაათი წელი რომ გავიდა, მოსკოვიდან ბარათი მიიღო. სწერდა სწორედ ის, ფოტოსურათზე გამოსახული ჭაბუკი. იტყობინებოდა, რომ ცოცხალია, ჯანმრთელად არის, სამი ვაჟიშვილი ჰყავს. უმცროსისათვის დიმა დაურქმევია დემეტრე ვირსალაძის მოსაგონებლად, რომელსაც ის, ნიკოლოზ რაპოხინი, არასოდეს არ დავიწყებს. დიმა უკვე ჩვიდმეტი წლისა შესრულდაო...

მოხუცი ვირსალაძე გვიანობამდე ჩაფიქრებული იჯდა თავისი სახლის აივანზე. ფიქრები ეძალებოდა... შვილიშვილი რომ ჰყოლოდა, ხომ მიესცემდა ახლა ბიჭს ფულს მოსკოვში წასასვლელად, რათა დიმას გასცნობოდა. იმეგობრებინენ ყმაწვილები... დახეთ, სამი ვაჟიშვილი ჰყოლია, სამი ვაჟიშვილი. გურამმა ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი...

კარგად რომ ჩასობნილდა, წამოდგა, ელექტრონათურა მასრაში გაამაგრა, რათა მანქანის ბაგლისას შუქი არ ჩამქრალიყო, და ოთახიდან ქაღალდი გამოიტანა. გურამი რუსულად ძალიან ცუდად წერდა, მაგრამ არ მოისურვა დამხმარედ ვინმე მოეწვია. დიდხანს წერდა, დროდადრო ხან ერთ რუსულ წიგნში იცქერებოდა, ხან მეორეში, რომლებსაც ოდესღაც დემეტრე კითხულობდა.

წერილი მოკლე გამოვიდა, სასკოლო რვეულის ერთ გვერდზე დაეტია. დილით, სანამ გამეიბაში შევიდოდა, გურამმა ფოსტაში შეიარა, წერილი კონვერტში ჩადო და დალუქა. ვერ გაბედა მისამართიც თვითონვე დაეწერა. არ აწუხებდა, თუ წერილში შეცდომები მოუვიდა, ის კაცი, რომელსაც სწერდა წერილს, მისი შვილის მხარდამხარ ომობდა და გაუგებდა მამას. კონვერტი კი მიღეთი ხალხის ხელშია გასაკვლელი... ცუდია, რომ თქვან, ველისციხეში წერაკითხვა არ სცოდნიათ.

## 2.

ᲠᲐᲪᲮᲝᲜᲘᲗ ოჯახმა წერილი დაბინდებისას მიიღო, როცა ყველას შინ მოეყარა თავი. ნიკოლოზ ივანეს-ძემ წერილი გახსნა და მხიარულად ჩაილაპარაკა: „ცოცხალი ყოფილა მოხუცი, ნეტავი როგორ არის?“ ვაჟიშვილებს, რომლებმაც ძალიან ცოტა რამ იცოდნენ გურამ ვირსალაძეზე, თითქმის არც მიუქცევიათ ყურადღება კონვერტისათვის და წამოწყებულ დავას განაგრძობდნენ. მაგრამ აი ერთ-ერთმა ვაჟიშვილმა შეამჩნია, თუ როგორ აელეწა ნიკოლოზ ივანეს-ძეს სახე. და თვალის დახამხამებაში სიჩუმე გამეფდა. არავის უკითხავს, რა ამბავია, რა მოხდაო, ელოდნენ, რომ თვითონ მამა მოაყვებოდა ყველაფერს. მაგრამ ნიკოლოზმა წერილი უმბოდ გადაავოდა მეუღლეს, რომელმაც იგი ჩაიკითხა და გოგონებული მიაბტერა დიმას. წერილი ძმებმაც წაიკითხეს და ისინიც მიაჩერდნენ მას. დიმამ წერილი აიღო, ჯარსაღითით გაწითლდა ცალკე ასეთი ყურადღებისა და ცალკე ცნობისმოყვარეობის გამო.

როცა წერილი ჩაიკითხა, იფიქრა, ეს ყველაფერი ხუმრობააო. მაგრამ მმობლებს რომ შეეხედა, მიხვდა, საქმე ძალზე სერიოზული იყო. მაშინ ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი.

უკანასკნელი სტრიქონი რომ ჩაათავა, დიმა სკამიდან წამოდგა, გაფითრებული და დაბნეული.

— რას ნიშნავს ეს, მამიკო? — იკითხა მან. უკვე ხუთი წელი იყო რაც „მამას“ ეძახდა, ახლა კი ბავშვური მიამიტობით ისევ „მამიკო“ წამოსცდა.

ნიკოლოზ ივანეს-ძემ არაფერი უთხრა, მხოლოდ მეუღლეს შეხედა. დიმას ძმებიც დედას მიაჩერდნენ. მან გაღიმება სცადა, შემდეგ ჩურჩულით წარმოთქვა: დიმა ძვირფასო! და უეცრად ატირდა, თან წინსაფარი სახეზე აიფარა.

## 3.

— „გამარჯობა ნიკოლოზ რაპოხინ! ჯანმრთელად იყავი, შენი ყველა შვილიც ჯანმრთელი მენახოს: მადლობა, დემეტრე რომ ვახსოვს. შენი ფოტოსურათი წინ მიდევს.

მე მგონია ასე უნდა გაკეთდეს: დაე შენი შვილი, რომელსაც დემეტრე ჰქვია, აქ ჩამოვიდეს და ჩემთან იცხოვროს. შენ სამი ვაჟიშვილი გყავს, მე კი — არცერთი. დაე ჩემთან იცხოვროს და ვირსალაძის გვარზე დაეწეროს. ჩვენთან მთებია, მაგრამ ეს კარგად მოეწყობა. ცოტა შვებას მეც ვიგრძნობ. დაე ჩამოვიდეს. ეს ყველაზე სამართლიანი იქნება“.

გვიან ღამით დიმიტრი და მამამისი სასადილო ოთახში მარტონი დარჩნენ. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიეღოთ — შეიძლებოდა თავი იმგვარად დაეჭირათ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. საკმარისი იყო დიმას მხოლოდ ეთქვა არ წავალო, და ვერც მამა და ვერც დედა ვერ დაძალებდნენ. არც დაუწყებდნენ დავას.

ამის ნაცვლად დიმამ ამოღერღა:

— იცი, რა, მამა? მე მგონია წავალ... ვნახავ... ვცდი...

— არა, შვილო, ცდა არ შეიძლება.

დიმა ჩაფიქრდა.

—ყოველმხრივ შეგვეცდება...

— სოფლელ ქალებს უთხარი, — როგორც იქნა ამოიღო მან ხმა, —ათი დღის შემდეგ ჩამემხვარონ პურმარილის გაწყობაში. კარგი სუფრა უნდა გაიმალოს. ათი დღის შემდეგ ყველას ვიწვევ ჩემს ოჯახში. თბილისში მცხოვრებ ველისციხელებსაც აცნობეთ დეპეშით.

— მომისმინე, გურამ, რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა? განა არ წაიკითხე? ან იქნებ სიტყვებს ვეღარ არჩევ? ერთი კვირის შემდეგ მოსკოვიდან ჩემი შვილი დემეტრე ვირსალაძე ჩამოდის.

— გამოჩრჩეტდა, სულ გამოჩრჩეტდა მწუხარებისაგან გურამი!..

— ჩაიბურტყუნა არჩილმა. მაგრამ, როგორც კი გურამის გაბრწყინებულ და გაჯიელებულ სახეს შეხედა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სოფლის საბჭოსკენ მოკურცხლა.

## 4.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ შემდეგ, გასახდელში დიმა შეეცადა მოწინააღმდეგე გუნდის მთავარი ბომბარდირის ახლოს მოხვედრილიყო. ამ „გამსდარ ელეგანტურ ქართველს“ წინა შეხვედრებში გაეცინო, მაგრამ არასოდეს არ გამოლაპარაკებია. „სალამი“ და „ნახვამდის“ — ამის მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. დღეს კი, როცა ეცვამდა, მაქაცრის თვალს არ აშორებდა. ნაგრამ როგორც კი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდა, დიმა მაშინვე პირს იბრუნებდა. ბოლოს ქართველმა ვეღარ მოითმინა:

— აბა, — უთხრა მან, — მკითხე, რაც გინდა, ორივე გატყობ ვერ გაგიბედავს.

დიმამ გაიცინა:

— ქართული ენის შესწავლა ძნელია?

ბოგი მაქაცარია ბაოცდა:

— არც თუ ისე ძნელი. ამას ფიქრობდი ამდენხანს?

— კიდევ მაქვს საკითხავი. შენ ეს მითხარი, ბაგიგონია ასეთი ადგილი ვე-ლ-ი-ს-ც-ი-ხ-ვ?

— ჰო, ვიცი, რა იყო? არდადეგების გატარებას აპირებ იქ?

— არა, ეტყობა, საერთოდ იქ მოგიწევს ცხოვრება...

ისინი უკვე ჩაცმულები იდგნენ, სპორტული ჩანთები მხარზე გადაეკიდათ. ორივეს ეფერებოდა ამოაღო ჯიბიდან სიგარეტი.

— რატომ? —იკითხა ბოგიმ. — შენ რა, მოსკოველი არა ხარ?

— მკვიდრი მოსკოველი ვარ. ჩვენი ბაგარის მეშვიდე თაობა ცხოვრობს აქ. იცი რა, რაღაც ბუნდოვანი ამბავია, თვითონაც არა ვარ კარგად გარკვეული... მაგრამ ეტყობა მომიწევს ქართველი გავხდე.

მეტროს სადგურს უახლოვდებოდნენ. ბოგის გადაწყვეტილი ჰქონდა აქ დამშვიდობებოდა დიმას. მაგრამ ეს სიტყვები რომ მოისმინა, გადაიფიქრა. შეებრალა ჭაბუკი. ეს სანდომიანი ახალგაზრდა — ტიმირიაზევის გუნდის წევრი სასწავლო წლის ბოლოს ეტყობა ოდნავ გადაღლილიყო.

— არა, — უთხრა დიმამ, ჯანმრთელი ვარ, სრულიად ჯანმრთელი. თუ გცალია, მოდი ნახევარი საათით სადმე დავჯდეთ.

ისინი კაფეში შევიდნენ. ნახევარი საათი არც დასჯერებიათ. ათ წუთში დიმამ ყველაფერი გადმოუყარა.

ვერ ვეტყვი მამაჩემს, რომ იქ წასვლა... ისე მესაჭიროება, როგორც თევზს ქოლგა, — ამოოხრა დიმამ. — მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს. მაგრამ მამას უჭირს უარი მისწეროს. დემეტრემ სიკვდილისაგან იხსნა. გამოიკვეთა, რომ მამაჩემს ღირსებაზე ძეგლებური წარმოდგენა ჰქონია. წასვლა მომიწევს, თუმცა მამა ძალიან აწ მაძალებს.

— მერე, ინსტიტუტს რომ დაამთავრებ, სად იმუშავებ?

დიმამ ამოიხვნეშა:

— წარმოდგენა არ მაქვს. ხომ გეუბნები ამ ამბავში კარგად ვერც კი ვერკვევი. მაგრამ უარი რომ გეთხრა, ძალიან მერიდება მამისა.

დიმამ დანახარჯი გადაიხადა და ქუჩაში გავიდნენ. უკვე იერძნობოდა გაზაფხულის მძლავრი სუნთქვა.

— ჩემი ტელეფონი ჩაიწერე, — უთხრა გოგიმ, — შეიძლება რამე დაგჭირდეს.

დიმამ თავი დაუქნია.

— ნახვამდის, ძმობილო!

— აბა ნახვამდის! არაფერია საშიში. ბოლოსდაბოლოს ავსტრალიამი ხომ არ მიდიხარ...

— არა, საქმე ეს როდის! —უეცრად გაცხარდა დიმა. საქმე ის არ არის, სად ვიცხოვრებ: თბილისში თუ კონტოპში. მე გეოგრაფია რომ მაღელვებს.

— არც მე მიფიქრია ავსტრალიის კლიმატურ პირობებზე... იქნებ მოწიო! — ასანთი გაკრა და ორივემ მოუკიდა სიგარეტს. — მე შენს ადგილას არც კი დავფიქრდებოდი. არნახულ სიხარულს მიანიშებ მოხუცს.

— კარგი, — უთხრა დიმამ, დაგირეკავ...

## 5.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ფოსტალიონი არჩილი, რომელიც გურამის ხნისა იყო, ვირსალაძის სახლისაკენ ისე მირბოდა, რამდენჯერმე წაიფორხილა კიდეც.

— გურამ! — დაუძახა მან, რომელსაც თვალი მოჰკრა ჭიშკარში მდგომ წელში ოდნავ მოხრილ, მაღალ მოხუცს... დეპეშაა, გურამ! — და ისე მიაშტერდა, თითქოს რაღაც საოცრებას უყურებსო.

—სად უნდა მოგაწერო ხელი? — მშვიდად იკითხა ვირსალაძემ.

— რა ხელისმოწერა, რის ხელისმოწერა, ძვირფასო! ძლივს ამოილუღლუა სუნთქვაშეკრულმა არჩილმა. ხელი მერე მოაწერე, ჯერ წაიკითხე, მალე...

მოხუცმა გურამმა რუხი ფერის ფურცელი გამალა. არჩილმა სწრაფად და მეტად საეჭვოდ აპრუნა მისგან სახე. დეპეშაში გარკვევით ეწერა: „გამოვდივარ ერთი კვირის შემდეგ. დიმიტრი“.

—რას ნიშნავს ეს, გენაცვალე?— იკითხა ფოსტალიონმა.

გურამმა პასუხი არ გასცა. ის თავისთვის ანგარიშობდა. ერთი კვირა, მიუშატოთ თუ გინდ სამი დღე, ყოველი შემთხვევისათვის...

— სოფლელ ქალებს უთხარი, — როგორც იქნა ამოიღო მან ხმა, —ათი დღის შემდეგ ჩომეხმარონ პურმარილის გაწყობაში. კარგი სუფრა უნდა გაიმალოს. ათი დღის შემდეგ ყველას ვიწვევ ჩემს ოჯახში. თბილისში მცხოვრებ ველისციხელებსაც აცნობეთ დეპეშით.

— მომისმინე, გურამ, რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა? განა არ წაიკითხე? ან იქნებ სიტყვებს ვეღარ არჩევ? ერთი კვირის შემდეგ მოსკოვიდან ჩემი შვილი დემეტრე ვირსალაძე ჩამოდის.

— გამოჩრჩეტდა, სულ გამოჩრჩეტდა მწუხარებისაგან გურამი!..

— ჩაიბურტყუნა არჩილმა. მაგრამ, როგორც კი გურამის გაბრწყინებულ და გაჯიელებულ სახეს შეხედა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სოფლის საბჭოსკენ მოკურცხლა.

## 6.

ᲓᲘᲛᲐ თბილისში სულ ერთი დღეღამე დაჰყო. საღამოს შთაბეჭდილებებით გაბრუებული ველისციხის ავტობუსში ჩაჯდა.

როცა ათესთუხუცესული ავტობუსი ხმაურიანი მოედნიდან დაიძრა და ფაროო ქუჩაზე გაიგრა, ჭაბუკს უეცრად გული შეუჭანდა. მას კვლავ გახსენდა ბარათის შინაარსი: დაე შენი შვილი, რომელსაც დიმიტრი ჰქვია, ჩემი შვილი გახდეს და ვირსალაძის გვარზე დაეწეროს. ასე უფრო სამართლიანი იქნებაო... მოიგონა ისიც, თუ რა უთხრა მამამ, როცა დიმამ თქვა ნახავ, ვცდიო... ეს მართლაც დაუშვებელი იყო, მოხუცის გული ამას ვერ აიტანდა. თუკი წასვალ ველისციხეში, — ეუნებოდა მამა, — სამუდამოდ საქართველოში დარჩები და გურამ ვირსალაძეს ნამდვილად შვილობას გაუწევო.

ერთი ათჯერ მაინც უთხრა ამ დღეებში მამამ ვაჟიშვილს, დემეტრესათვის შური რომ ვიძიეთ, თურმე საკმარისი არ ყოფილა, რომ გადარჩენილები მოვალენი ვართ ომში დაღუპულებიც შეეკვალოთო.

სრულიად დაბნეულმა დედამ კი წყნარად უთხრა დიმას:

—ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავით სულ ორი საათის სავლაა!

...ახლა ავტობუსი დიმას კახეთის შუაგულისაკენ მიაქანებდა. ერთი საათის წინათ მას კიდევ შეეძლო მოსკოვში გაბრუებულ, ახლა კი... ახლა ის უკვე დიმა რაპოხინი კი აღარ არის, არამედ დემეტრე ვირსალაძეა, მართლაც გასაკვირველია, რა საოცრება აღარ ხდება XX საუკუნეში!

ავტობუსში ბილეთს რომ იღებდა, შენიშნა, ყველა მგზავრი მას შეჰყურებდა. რა უცნაურად იქცევიან, — ეს კი გაიფიქრა დიმამ და მისი თვალები მწიფური კონდუქტორის ცნობისმოყვარე თვალებს შეეფეთა. მან ფული უკან დაუბრუნა დიმას.

— შენგან ბილეთის ფულს არ ავიღებ!

— რატომ? — იკითხა გაკვირვებულმა დიმამ.

— შენს მაგიერად ფული უკვე გადიხადეს.

— ვინ? — იკითხა მან.

— რატომ? ვინ? თქვა კონდუქტორმა და გაიცინა. — აქ თითქმის ყველა მგზავრი ველისციხელია. ისეთი დიდი სიხარული მიაქვს ჩემს ავტობუსს მოხუცი გურამისათვის, მოცული მანქანა ყვავილებით უნდა იყოს შემკული.

მანქანა ველისციხის პატარა მოედანს მიადგა, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი. დიმა ამას აღარ მოელოდა.

დიმა ავტობუსიდან დარცხვენილი გადმოვიდა. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, გზის ორივე მხარე ხალხით იყო სავსე. და დიმამ მოულოდნელად დაინახა, როგორ ჩამოვიდა მიწყენ მადალი მოხუცი. დიმას უცბად გულს მოეშვა, თავისუფლად ამოისუნთქა, გაუხარდა, რომ ეს მისთვის უცნობი, მაგრამ მახლობელი კაცი მისივე სიმაღლისა იყო.

დიმა და გურამი ერთმანეთს გადაეხვივნენ...

ღილით დიმა სახლის აივანზე გამოვიდა. ღობეზე ჩამომსხდარ ბიჭები მის დანახვაზე აქეთ-იქით დაიფანტნენ.

— ეი, თქვენ, აქ მოდით! — დაუძახა მათ დიმამ.

ბიჭებმა ერთმანეთს რაღაც გადაურჩურჩულეს და მის წინაშე წარსდგნენ. დიმა ერთი შეხედვით მიხვდა, რომ შინაური ხალხი იყო. შემდეგ კი მესერზე მიყუდებულ თოხს წამოავლო ხელი.

— რა ქვია ამას, ბიჭებო, ქართულად?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თოხი, — გაუბედავად უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

**თარგმნა ოთარ კაციტაძემ.**

**სამხედრო-პატრიოტული და ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახი „ოდვიგი“, № 7. 1973 წ.**

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინათ მახარაძეში დამთავრდა ახალი უნივერმაღის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილია საკვამრო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ: ახალი უნივერმაღის ხედი.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲔᲝᲠᲐᲡᲔ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲖᲔ

# ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲚᲔᲑᲘ

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ** ისევე როგორც პრემიერაზე ყველა ბილეთი გაიყიდა და თეატრის სალაროებთან ისევითვე ჩოჩქოლი იდგა, როგორც ამ ოთხიოდე წლის წინათ, როცა მარჯანიშვილის თეატრში ახალი სპექტაკლი იმადებოდა. შაგრამ ᲛᲐᲨᲘᲜ სცენაზე ძველი ყანრის „მოსცლა“ მხიარულ გასეირნებას სულაც არა ჰგავდა, ზოგიერთმა სტუმართმოყვარე მასპინძლობის მაგივრად კარისა და წარბების ვადარაზეა შეაგება, მაგრამ პრემიერამ ბრწყინვალედ ჩაიარა და ახლა ამ შეორასე „ძველ ვოდევილებსაც“ თან ამ უპირველესი დადგმის სურნელი სდევდა.

თეატრი ზეიმობდა.

ასეა, კაცის გულში გამარჯვების სიხარული მზწნის მიღწევის სიძნელეებს ჩრდილავს ხოლმე და უსიამოვნო მოგონებებს გულმავიწყობის უსასრულო გზას გაუყენებს.

მეორასე წარმოდგენა თავისთავად წარმატებას ნიშნავს, მაგრამ კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: პროფესიული მსახიობი იტყვის უკვე ბევრჯერ ვითამაშეთ და წარმოდგენა ისეთი ვეღარ აჩისო. ეს ამბავი „ძველ ვოდევილებს“ არ ეხება და ამის მიზეზს ორიოდე სიტყვით ვერ ახსნი. ვერ განმარტავ, რადგან ის საგანგებო კვლევასა და დაკვირვებას მოითხოვს, ერთი კი ცხადია, წარმოდგენას მაყურებელი არ დაკლებია, ვოდევილები, რომელებსაც თანდაყოლილი მანკი უწინასწარმეტყველეს, ჯანმაგარი გამოდგა და გალაღებულმა მეორასე დაბადების დღეც იზეიმა. არც ამას დასჯერდა, მოსკოვს, ლენინგრადსა და ბაქოსაც ესტუმრა და იქაც ბევრი თაყვანისმცემელი იშოვნა. პრესამ აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა წარმოდგენას, მსახიობებსა და უწინაწარეს ყოვლისა სპექტაკლის დამდგმელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატს **ვასო გოძიაშვილს.**

ხელოვნებას ციფრები არ უყვარს, მაგრამ რადგან მეორასე წარმოდგენაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ძველი ვოდევილები“ ას ორმოცი ათასმა მაყურებელმა ნახა, ეს კი ას ორმოცი ათასი მხიარულება, ამდენივე ღიმილი და სიხარული...

შესვენებისას, წარმოდგენის შემდეგ მონაწილე მსახიობები შეიკიოდნენ ვასო გოძიაშვილთან და წარმატებას ულოცავდნენ. კედელზე ეკიდა „ძველი ვოდევილების“ აფიშა, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტმა მერი დავითაშვილმა გაკრული ხელით წაუწერა „კიდევ ორასი ახალი, როლი შეგეყრებინოს, ჩემო ვასო, ასე ბრწყინვალედ“.



ᲓᲘᲜᲯᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

მსახიობ ქალს სხვებმაც მიბაძეს.

ამ პატარა წერილის მიზანი არც სპექტაკლის შეფასებაა და არც მსახიობთა ოსტატობისა, მაგრამ ეს აფიშა, რომელზეც დასის თითქმის ყველა წევრმა თავის წერილობითი აზრი დატოვა, რეცენზიაზე მეტყველი გვეჩვენება. ეს ზოგი მათგანი: **„ᲛᲔᲪᲘᲪᲮᲚᲝᲗ თეატრით, თეატრს კი თქვენთან, ᲑᲔᲯᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ მე ასე მეხმის“** — ელენე ყიფშიძე. **„ᲩᲔᲛᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲪᲠᲝᲑᲘ ᲫᲛᲐᲛ და მასწავლებელო, მუდამ ასე სიხარულში, გამარჯვებებსა და წინსვლაში გაგეტარებინოს დღე და წუთისოფელი“** — დავით ᲩᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ. **„ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲗ, რათა ᲑᲔᲯᲜᲘᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ“** — გიორგი ᲒᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ.

კულისებში შემოდის საქართველოს მეგობარი, ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი. დავიდ ლანგი და მსახიობებს ესაუბრეობა. **მე მიყვარს თქვენი ქვეყანა—** დინჯი ქართულით ამბობს სტუმარი, — **მეც ხომ თქვენნაირი მეგობის შვილი ვარ, აქ, თქვენს შორის როცა ვარ, უდიდეს ხიბარულს ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ... მარჯანიშვილის თეატრისაკენ მუდამ მომიხარია, ბატონ ვასოს ᲡᲣᲚᲛᲘᲪᲐ ᲓᲐᲠᲩᲐᲗᲐᲡ, დღესაც ისეთივე ᲓᲐᲠᲬᲣᲨᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ მივდივარ, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ვასო გოძიაშვილი ვნახე სპექტაკლში „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“. არასოდეს დამავიწყდება მისი „რიჩარდი“...** შემდეგ დავით ლანგი კალამს მომამარჯვებს და აფიშაზე ქართულად წაიწერს: **„ᲣᲚᲛᲘᲪᲘᲡ ᲞᲐᲢᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗᲘᲡ, დავით ლანგი, 19 იანვარი 1974 წელი, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“.**

„ძველი ვოდევილები“ ოთხი წლის წინათ დაიდგა, ვიმარჯვა საფრანგეთის ამ ქალაქში მიმდინარე დაზნეთ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, ტურნირის ფინალის გადამწყვეტ შეხვედრაში ფინალისტმა ანგარიშით 5:3 მოუგო ძლიერ ფრანგ სპორტსმენს დანიელ რეგვინუს.

**ᲙᲝᲠᲔᲥᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲘᲔᲪᲘ.** სვერდლოვსკელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ ვიქტორ პიროფკოვმა მესამე ადგილი დაიკავა იტალიის ამ მთის ქალაქში ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. იგი გადახტა 78,5 და 81,5 მეტრზე და 214,2 ქულა მოაგროვა. პირველ ადგილზეა ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲰᲐᲜᲡ ᲨᲛᲘᲓᲘ — 241,8 (84,5 და 84 მეტრი).

**ᲠᲘᲩ-ᲘᲜ-ᲕᲘᲜᲙᲚᲘ.** სვერდლოვსკელი ანა ელისტრეოვა პირველობდა მოთხილამურეთა ხუთკილომეტრიან საერთაშორისო რბოლაში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქის მიდამოებში გაიმართა. მისი შედეგია 17. წუთი და 52,8 წამი. (საკადესი).

ᲙᲠᲔᲢᲘᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲖᲔ

# 2:0 ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ და ᲠᲘᲖᲚᲣᲚᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ჯერჯერობით ფრონტლინეზე, ერიდებიან ბრძოლის გამწვავებას. თვითეული მათგანი მეტოქის თუნდაც უმნიშვნელო შეცდომის უცდის.

მეხსიერ პარტიაში თეთრებით თამაშობდა პოლუგაევსკი. კარპოვმა კვლავ ნიმეოვიჩის დაცვას მიმართა. მეცხრე სვლის ჩათვლით განმეორდა ვარიანტი, რომელიც პირველ პარტიაში შეგვხვედა და ერთგვარი უპირატესობა პოლუგაევსკის მოუტანა. მეთაე სვლაზე მოსკოველმა გროსმაისტერმა ახლებურად ითამაშა — თუმცა რაიმე განსაკუთრებული სიკეთე ამ ახალ გაგრძელებას მისთვის არ მოუტანია. კარპოვმა თანდათანობით გაათანაბრა პოზიცია და უკვე მეთრამეტე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, პოლუგაევსკიმ უკუგაგდო ეს წინადადება.

გროსმაისტერ ლუტიკოვის ბრით მას ჰქონდა კიდევ ამის საფუძველი. პოზიცია ჯერ კიდევ სავსე იყო ორმხრივი შესაძლებლობებით, მოგებაზე შეეძლო ეთამაშა როგორც თეორეს, ისე შავებსაც. პოლუგაევსკი ხანგრძლივად ჩაფიქრდა და აირჩია გაგრძელება, რომელმაც მას საბოლოო ანგარიშით არაფერი მოუტანა. ამიტომ 22-ე სვლაზე ამ მატჩში უკვე მესამე ყაიმი აღინიშნა.

ჯერჯერობით პოლუგაევსკი თეორიით ვერაფერს აკლებს ნიმეოვიჩის დაცვას. მის მიერ მიღებული უპირატესობა მიკროსკოპული და მოგებაზე რეალურად თამაშის საშუალებას არ იძლევა. აი კარპოვმა კი თეორიებით სიცილიური დაცვის წინააღმდეგ საგრძნობი უპირატესობა მიიღო მეორე პარტიაში. ამიტომ მას საკმაოდ აძლევს ხელს შავებით პარტიის ყაიმით დასრულება.

დღეს მორიგი, მეოთხე **პარტია.** თეთრებით თამაშობს კარპოვი.

## ᲡᲐᲜ-ᲮᲣᲐᲜᲘ

ᲡᲞᲐᲡᲙᲘ-ᲑᲘᲠᲜᲘᲡ მატჩი ერთადერთია, რომელშიც ერთი მხარე უკვე

## ᲒᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲙᲘᲠᲘᲪᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲮᲚ, ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡ საყვარელი გამოთქმა რომ ვისმაროთ, მართალია სხვა შემთხვევაში თქმული (ლაპარაკია ფიშერ-ტალმანოვის მატჩზე), „მეტოქეები“ სხვადასხვა „წონისანი“ აღმოჩნდნენ.

მეოთხე პარტიაში თეთრებით სპასკი თამაშობდა. ბირნმა, ისევე როგორც მეორე პარტიაში, სიცილიური დაცვას შიმართა. სპასკი ჩინებულად თამაშობდა და 29-ე სვლაზე მოიგო.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:0 საბჭოთა გროსმაისტერის სასარგებლოდ. ძორიგი, მეხუთე პარტია, რომელსაც ბირნი თეთრებით ითამაშებს, ღღეს გაიმართება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩის ბედი, როგორც ელოდა კიდევ ყველა კომენტატორი, უკვე გადაწყვეტილია. მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი ჯერ კიდევ პრეტენდენტთა ორთაბრძოლების დაწყებამდე წერდა, რომ ვერ წარმოუდგენია, რა უნდა გააკეთოს მოჭადრაკემ, რომელიც აგებს ორი ქულის განსხვავებით, კიდევ ერთი, პარტიის წაგება ხომ მატჩის შეწყვეტას ნიშნავს.

ერთი სიტყვით, სპასკი-ბირნის მატჩი სრულიადაც არა ჰგავს დანარჩენ შეხვედრებს.

## ᲝᲒᲐᲡᲢᲐ

ᲠᲘᲖᲚᲘᲜᲘ-ᲛᲘᲙᲘᲜᲜᲘᲡ მესამე გადადებულმა პარტიამ კომენტატორთა ცნობილი ინტერესი გამოიწვია.

გროსმაისტერმა ლუტიკოვმა გამოთქვა აზრი, რომ ეს პარტია ყაიმით დამთავრდებოდა. მეკინგის ზედმეტ პაიკს დიდი ფასი არა ჰქონდა, რამდენადაც ლენინგრადელის ლაზიერი და მხეარი ფრიად აქტიურად იყვნენ განლაგებულნი, ამიტომ ბრაზილიელს მოგებისათვის კი არა, ყაი